



პრიმო ლევი

პერიოდული სისტემა

პრიმო ლევი
პერიოდული სისტემა

Primo Levi
IL SISTEMA PERIODICO

იტალიურიდან თარგმნა ნათია აბრამიშვილმა
კონსულტანტი ლელა მეტრეველი, ქიმიის დოქტორი
გარეკანის დიზაინერი ანანო დოლიძე

Questo libro e' stato tradotto grazie a un contributo per la traduzione assegnato dal Ministero degli Affari Esteri e della Cooperazione Internazionale italiano.

წიგნი ითარგმნა იტალიის საგარეო საქმეთა და საერთაშორისო თანამშრომლობის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით.

© 1975, 1982, 1994, 2013 and 2015, Giulio Einaudi editore s.p.a., Torino
All rights reserved.

© გამომცემლობა „დიოგენე“, 2020
ყველა უფლება დაცულია.

ISBN 978-9941-11-588-2

www.dioгене.ge

სარჩევი

არგონი	7
წყალბადი	24
თუთია	31
რკინა	40
კალიუმი	52
ნიკელი	64
ტყვია	82
ვერცხლისწყალი	97
ფოსფორი	110
ოქრო	128
ცერიუმი	140
ქრომი	148
გოგირდი	161
ტიტანი	165
დარიშხანი	168
აზოტი	174
კალა	184
ურანი	192
ვერცხლი	201
ვანადიუმი	213
ნახშირბადი	228

არგონი

Ibergekmene tsores iz gut tsu dertseyln.

(შვების მომგვრელია გარდასულ უბედურებათა თხრობა)

ჰაერში, რომლითაც ვსუნთქავთ, არის ეგრეთ წოდებული ინერტული აირები. მათი ბერძნული წარმოშობის სამეცნიერო სახელწოდებები თარგმანში უცნაურად ჟღერს: „ახალი“, „ფარული“, „ზანტი“, „უცხო“. ეს ერთობ ინერტული და თვითკმარი აირები არც ერთ სხვა ქიმიურ ელემენტთან არ შედის რეაქციაში და არც ნაერთებს წარმოქმნის. სწორედ ამიტომ მათი არსებობა საუკუნეების მანძილზე შეუმჩნეველი რჩებოდა. მხოლოდ 1962 წელს ერთმა ქიმიკოსმა უამრავი ცდის ჩატარების შემდეგ აიძულა „უცხო“ (ქსენონი), მდგრადი ნაერთი წარმოექმნა ხარბ და დაუცხრომელ ფთორთან. მისი ეს ექსპერიმენტი ისე საინტერესო აღმოჩნდა, რომ ნობელის პრემიაც კი დაიმსახურა.

სხვანაირად ამ აირებს კეთილშობილსაც უწოდებენ. აქ კი იბადება კითხვა: ნამდვილად ინერტულია თუ არა ყველა კეთილშობილი და ყველა ინერტული კეთილშობილია თუ არა? ზოგჯერ მათ იშვიათ აირებადაც მოიხსენიებენ, მიუხედავად იმისა, რომ ერთ-ერთი ასეთი აირის – არგონის („ზანტის“) – მოცულობითი წილი ჰაერში 1%-ია. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მისი შემცველობა ჰაერში ოც-ოცდაათჯერ მეტია ნახშირორჟანგის შემცველობაზე, ურომლისოდაც დედამიწაზე სიცოცხლე არ იარსებებდა.

ჩემს წინაპრებზე ცოტა რამ ვიცი, თუმცა, რაც ვიცი, იმით თუ ვიმსჯელებ, ისინი ძალიან ჰგვანან ინერტულ აირებს. ყველა ინერტული ნამდვილად არ ყოფილა, რადგან ამის ფუფუნება არ ჰქონიათ. იყვნენ, უფრო სწორად კი, უწევდათ, ყოფილიყვნენ აქტიურები, იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ თავის სარჩენი ფული უნდა ეშოვათ. თანაც, საყოველთაოდ მიღებული მორალური ნორმების მიხედვით, „ვინც არ მუშაობს, ის არც ჭამს“. ინერტული იყო მათი შინასამყარო – მიდრეკილი უმისამართო განსჯების, მახვილგონიერი საუბრებისა და დახვეწილი, არაფრის მომცემი კამათისკენ.

შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ ჩემს წინაპრებთან დაკავშირებულ მრავალგვარ მოვლენებს ყოველთვის რალაც საერთო სტატიკურობა, კეთილშობილური განწყებულობა, ცხოვრების დიდი ორომტრიალისგან ნებაყოფლობითი გარიყულობა ახასიათებს. კეთილშობილები, ინერტულები, იშვიათები... მათი ისტორია გაცილებით უფერულია ევროპისა და იტალიის სხვა ცნობილი ებრაული თემების ისტორიასთან შედარებით.

ჩემი წინაპრები პიემონტში, სავარაუდოდ, 1500 წელს უნდა გადმოსახლებულიყვნენ ესპანეთიდან პროვანსის გავლით, რასაც მათი გვარები და ტოპონიმებიც ადასტურებს: ბედარიდა – ბედარიდედან, მომილიანო – მონმელიანიდან, ფოა – ფუადან, კავალიონი – კავაიოდან, მილიაუ – მიიოდან; ბუმ-დიუ-რონში, მონპელიესა და ნიმს შორის მდებარე პატარა ქალაქის – ლუნელის – სახელიდან კი, რომელიც ებრაულად ითარგმნა, როგორც ჯარეახ (მთვარე), წარმოიშვა ებრაულ-პიემონტური გვარი ჯარახი.

ტურინში მათ არც ისე კარგად შეხვდნენ, ამიტომ სამხრეთ პიემონტის სოფლებში დასახლდნენ. ადგილობრივებმა აბრეშუმის შესახებ სწორედ მათი წყალობით გაიგეს. დიდი ხნის მანძილზე საზოგადოებში უმცირესობას წარმოადგენდნენ. ისინი დიდად არც უყვარდათ და არც სძულდათ. ჩემი წინაპრების დევნის შემთხვევები ცნობილი არ არის, თუმცა ეჭვის, უსაზღვრო ზიზღისა და უგულვებლყოფის კედელი დიდხანს ყოფდა მათ დანარჩენი საზოგადოებისგან. ასე გრძელდებოდა 1848 წელს ებრაელთა უფლებების გა-

ფართოებისა და მათი ქალაქებში დასახლებიდან რამდენიმე ათეული წლის შემდეგაც კი. როგორც მამაჩემი მიყვებოდა, ბავშვობაში, როცა ბენე-ვაჯინაში ცხოვრობდა, სკოლიდან გამოსვლისას მისი თანატოლები ქურთუკის კალთას მუჭში მოიქცევდნენ ხოლმე, ვირის ყურს დაამსგავსებდნენ და იქაურ დიალექტზე მღეროდნენ: „ლორის ყურები, ვირის ყურები დიდად მოსწონთ ებრაელებს“. სიმღერის ტექსტი, როგორც ჩანს, ალალბედზე შეთხზეს, შესვლით კი გაუცნობიერებლად სინაგოგაში შესულ მორწმუნეებს აქილიკებდნენ, რომლებიც ერთმანეთს სალოცავი მოსასხამის ფორების ჩვენებით ესალმებოდნენ. ეს ფორებშემოვლებული მოსასხამი რელიგიური რიტუალის განუყოფელი ნაწილი იყო, თუმცა იმ ბავშვებმა თავიანთი საქილიკო შესტის წარმომავლობა არც კი იცოდნენ. სალოცავი მოსასხამის შეურაცხყოფას ისეთივე დიდი ხნის ისტორია ჰქონდა, როგორც თავად ანტისემიტიზმს: ეს-ესის ხალხი ებრაელებისთვის ჩამორთმეული მოსასხამებით საცვლებს კერავდა და შემდეგ საკონცენტრაციო ბანაკებში ებრაელებსვე ურიგებდა.

როგორც ხდება ხოლმე, უარყოფა აქაც ორმხრივი გამოდგა. უმცირესობამ საბოლოოდ ბარიერი აღმართა მთელი საქრისტიანოს წინააღმდეგ („გუიმ“ – არაებრაელი; „ნარელიმ“ – წინადაუცვეთელი), რამაც იქაურ მიდამოებში ბიბლიური სიტუაცია შექმნა – „რჩეული ხალხი“ დანარჩენი სამყაროს პირისპირ. სწორედ ამ შექმნილი სიტუაციით იკვებებოდა ჩვენი ბიძებისა და დეიდების „კეთილშობილური“ ენაკვიმატობა. თამბაქოს სუნით გაჟღენთილი ოჯახის უფროსები (წვეროსნები) და დედოფალი-დიასახლისები (დეიდებულები) ამაყად უწოდებდნენ თავიანთ თავს „ისრაელის შვილებს“.

აქვე მინდა აღვნიშნო, რომ სიტყვები „ბიძა“ და „დეიდა“ ჩვენში ტრადიციულზე გაცილებით უფრო ფართო მნიშვნელობით იხმარება. ებრაელები ყველა მოხუც ნათესავს, შორეულსაც კი, ბიძას და დეიდას უწოდებენ. ვინაიდან ჩვენი საზოგადოების ყველა ან თითქმის ყველა ხანში შესული წევრი ჩვენი შორეული ნათესავი მაინც არის, ბიძებისა და დეიდების რაოდენობაც საკმაოდ დიდია. უმეტეს შემთხვევაში ეს ბიძები და დეიდები დღეგრძელნი არიან (როგორც

ყველა ებრაელი, ნოედან მოყოლებული). ხშირად მათი მსაზღვრელები – „წვეროსანი“ და „დიდებული“ მათსავე ნამდვილ სახელებს ერწყმის, შემდეგ კი, კინოზობითი ფორმებისა და პიემონტური ფონეტიკის გავლენით, უცნაური ჟღერადობის მეტსახელებად იქცევა. ეს მეტსახელები თაობიდან თაობას უცვლელად გადაეცემა თქმულებების, ანდაზებისა და ამბების მსგავსად. ასე გაჩნდა სახელები: ბარბაიოტო¹ (ძია ელია), ბარბასაკინი (ძია ისააკი), მანიაიეტა² (დეიდა მარია), ბარბამოისინი (ძია მოსე, რომელმაც, გადმოცემის თანახმად, ვილაც შარლატანს წინა ორი კბილი ამოაღებინა, რათა ჩიბუხი უფრო მოხერხებულად დაეჭირა პირში), ბარბასმელინი (ძია სამუელე), მანიავიგაია (დეიდა აბიგაილი, რომელიც კარმანიოლიდან სალუცოში საკუთარ ქორწილში მოსახვედრად იძულებული გამხდარა, თეთრ ვირზე ამხედრებულიყო, რომ გაყინული პო გადაელახა), მანიაფორინა (დეიდა ძეფორა, რომლის ულამაზესი სახელიც ებრაულად ჩიტს ნიშნავს). ბაბუა იაკობი, რომელიც კიდეც უფრო შორეულ წარსულში ცხოვრობდა, ინგლისში ყოფილა ქსოვილების საყიდლად და მას მერე მუდამ ჭრელაჭრულა სამოსში გამოწყობილი დადიოდა. მის ძმა ბარბაპარტინს (ძია ბონაპარტე. ეს სახელი დღემდე გავრცელებულია ებრაელებში ნაპოლეონის პატივისცემის ნიშნად, რომელმაც თავისუფლება უბოძა მათ) თურმე „ბიძობის“ ტიტული ჩამოერთვა, რადგან იმდენად აუტანელი ცოლი არგუნა უფალმა, რომ ბერად აღიკვეცა და ჩინეთში წავიდა მისიონერად.

ბებია ბიმბა ულამაზესი ქალი იყო – სირაქლემას ბუმბულეების ბოასა და ბარონესას ტიტულს ყოველთვის ამაყად ატარებდა. მას და მის ოჯახს თურმე ნაპოლეონმა უბოძა ბარონის ტიტული, რადგან ბონაპარტესთვის, როგორც დიალექტზე იტყვიან, მანიოდ (mañod), ანუ ფული, უსესხებიათ.

ბარბარონინი მალალი და ჯანიანი კაცი იყო, რადიკალური იდეებით განმსჭვალული. ფოსანოდან ტურინში გადასახლებულა და უამ-

¹ Barba (იტ.) – წვერი.

² Magna (ლათ. Magnus-იდან) – დიდი, დიდებული.

რავი პროფესიაც გამოუცვლია. ერთხელ კარინიანოს თეატრს მისთვის მეორეხარისხოვანი როლის შესრულება შეუთავაზებია „დონ კარლოსში“. ბარბარონინს პრემიერაზე მშობლები დაუპატიჟებია. ნათანი და დეიდა ალეგრა მისულან. როდესაც ფარდა აწეულა და საკუთარი შვილი ფილისტიმელივით იარაღსხმული დაუნახავს, დეიდას მთელი ხმით უკივლია: „რას აკეთებ, აარონ, დააგდე ეგ ხმალი!“

ბარბამიკლინი ბრიყვი იყო. აკვიში ყველა პატივს სცემდა, რადგან ბრიყვები ღვთის შვილები არიან და მათზე აუგს არავინ ამბობს. მას ინდაურთმთესველს ეძახდნენ, რადგან ერთხელ ერთმა რაშანმა (ებრაულად ბოროტს ნიშნავს) დააჯერა, რომ ინდაურებს ატმის ხეებივით რგავენ – ფრთებიანად მიწაში ფლავენ და მერე ისინი ტოტებზე იზრდებიან. ინდაურს იმ მახვილგონიერ, მშვიდ და განონასწორებულ სამყაროში უცნაურად მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა, ალბათ, იმიტომ, რომ ამ ყვეყნ, მოუხერხებელ და ფიცხ ფრინველს საზოგადოების საპირისპირო თვისებები აქვს და მისი აბუჩად აგდება ძალიან ადვილია; თუმცა უბრალო ახსნაც არსებობს: სააღდგომოდ ინდაურისგან ტრადიციულ კერძს ამზადებდნენ. ძია პაჩიფიკოსაც ჰყოლია ერთი ინდაური, რომელსაც ძალიან შესჩვეოდა. მის მოპირდაპირე სახლში მუსიკოსი ძია ლატესი ცხოვრობდა. ინდაური მეცადინეობაში ხელს უშლიდა და ძია პაჩიფიკოს სთხოვა, როგორმე ფრინველი გაეჩუმებინა. ძია პაჩიფიკომ უპასუხა: „რა თქმა უნდა, ახლავე შევასრულებ თქვენს თხოვნას. ქალბატონო ინდაურო, გთხოვთ, გაჩუმდეთ“.

ძია გაბრიელე რაბინი გახლდათ და მას „ძია მასწავლებელს“ ეძახდნენ. მოხუცი იყო და თვალიც აღარ უჭრიდა. ერთხელ ვერცუოლოდან სალუცოში მცხუნვარე მზის ქვეშ ფეხით ბრუნდებოდა. ამ დროს ეტლს ჩაუვლია და ძია გაბრიელესაც, მეეტლის ნებართვით, ეტლით გაუგრძელებია გზა. საუბარში თურმე გაირკვა, რომ იმ ეტლით გარდაცვლილი ქრისტიანი მიჰყავდათ სასაფლაოზე. როგორც ებეკიელის ნიგნში წერია, ღვთისმსახური, რომელიც მკვდარს შეეხება ან იმ ოთახში შევა, სადაც მიცვალებულია დასვენებული, შვიდი დღის მანძილზე უწმინდურია. ძია გაბრიელე ფეხ-

ზე წამომხტარა და უყვირია: „მიცვალებულთან ერთად ვიმგზავრე!
მეეტლევ, გააჩერე!“

სინიორ გრასიადიო და სინიორ კოლომბო მეგობრები იყვნენ, თუმცა ერთმანეთს მტრობდნენ კიდევ. ისინი თურმე მოპირდაპირედ ცხოვრობდნენ ქალაქ მონკალვოს ერთ-ერთ ვიწრო ქუჩაზე. სინიორ გრასიადო უმდიდრესი მასონი იყო და ებრაელობა ცოტა ესირცხვილებოდა. ცოლად ვილაც გუია (ღია), ანუ ქრისტიანი, ქერა ქალი მოიყვანა, რომელიც რქებს ადგამდა. ამ გუიას დიდებულ აუსილიას ეძახდნენ, რაც გარკვეულწილად შთამომავლების მხრიდან მის პატივისცემაზე მეტყველებს. ქალი გემის კაპიტნის შვილი იყო, რომელმაც სინიორ გრასიადოს უზარმაზარი ფერადი თუთიყუში ჩამოუყვანა გვიანიდან. თუთიყუში ლათინურ ენაზე ამბობდა ხოლმე: „შეიცან თავი შენი“.

სინიორ კოლომბო ღარიბი მაძინისტი იყო. როდესაც თუთიყუშის შესახებ შეიტყო, ერთი გაქუცული ყვავი იყიდა და ლაპარაკი ასწავლა. როგორც კი თუთიყუში იტყოდა: „Nosce te ipsum“ (შეიცან თავი შენი), ყვავი პასუხობდა: „fate furb“ (აზრზე მოდი).

რაც შეეხება ძია გაბრიელეს მიცვალებულს, სინიორ გრასიადოს გუიას, ბებია ბიმბას მანიოდებსა და ჰავერტას (havertà), რომელზეც ახლა ვილაპარაკებთ, აუცილებელია, პატარა განმარტება გავაკეთოთ. „ჰავერტა“ ებრაული სიტყვაა. შეცვლილია როგორც ფორმით, ისე მნიშვნელობით. შინაარსით დიდადაა დატვირთული. იგი სიტყვა haver-ის (ებრაულად ამხანაგს ნიშნავს) შემთხვევით შერჩეული და გამდებდრობითებული ფორმაა. ამ შემთხვევაში კი დაბალი ფენიდან წამოსულ შინამოსამსახურეს გულისხმობს, რომელსაც განსხვავებული ადათები და რწმენა აქვს და რომელთან თანაცხოვრებასაც, იძულებულნი ვართ, შევეგუოთ. ჰავერტა, როგორც წესი, უსუფთაო და ბოროტად ცნობისმოყვარეა, იმდენად ცნობისმოყვარე, რომ პატრონებს მისი თანდასწრებით მისთვის გაუგებარ ჟარგონზე ლაპარაკს „აიძულებს“, რომლის ნაწილიცაა „ჰავერტა“ და ყველა ზემოთ ნახსენები სიტყვა. ეს ჟარგონი ახლა აღარ არსებობს. ჩვენი წინა თაობა ჯერ კიდევ იყენებდა ებრაული წარმოშობის რამდენიმე ასეულ სიტყვასა და გამოთქმას, რომლებსაც პიემონტური ფლექსიები ჰქონ-

და. ამ „ემმაკური“ ჟარგონის მთავარი უპირატესობა ის იყო, რომ არაებრაელისთვის გაუგებარი რჩებოდა, ებრაელები კი ახერხებდნენ, „გუიმების“ თანდასწრებით მათზევე ელაპარაკათ. მუდმივი აკრძალვისა და შეურაცხყოფის პირობებში მყოფი ებრაელები ამ ჟარგონზე ასევე თამამად წყევლიდნენ და ეპასუხებოდნენ მოწინააღმდეგეს.

ისტორიული თვალსაზრისით ებრაულ-პიემონტური ჟარგონი არც ისე მნიშვნელოვანია, რადგან მასზე სულ რამდენიმე ათასი ადამიანი ლაპარაკობდა. სამაგიეროდ, იგი ინტერესს იწვევს, როგორც ყველა სასაზღვრო და გარდამავალ ფაზაში მყოფი ენა. ორი კონტრასტული ენის შერწყმის შედეგად დაბადებული ეს ჟარგონი საოცარ კომიკურ ეფექტს ქმნის: ერთ მხარესაა უხეში, ლაკონური პიემონტური დიალექტი, რომელზეც მხოლოდ ნაძლევზე თუ დაწერილა რამე, მეორე მხარეს კი – დიდებული, წმინდა, შორეული წინაპრების დანატოვარი ებრაული ენა, რომელიც, მყინვარების კალაპოტის მსგავსად, საუკუნეების მანძილზე „პრიალდებოდა“. ეს კონტრასტი სწორედ უცხოტომელებში ანუ „გუიმებში“ გაბნეული დიასპორის თავისებურების ანარეკლია. დიასპორის, რომელიც აცნობიერებს თავის ღვთიურ მოწოდებას და ამასთანავე ყოველდღიურად განიცდის გადასახლების ტკივილს. უფრო განზოგადებით კი, ეს დაპირისპირებულობა ადამიანის მდგომარეობის თანდაყოლილ მახასიათებელზე მიგვანიშნებს: ადამიანი ხომ კენტავრია, გონისა და ხორცის, ღვთიური სულისა და მტვრის გროვა. ებრაელებმა დედამიწაზე გაბნევის შემდეგ გრძელი და მტკივნეული გზა განვლეს, თუმცა ამ ხნის მანძილზე მათ არა მარტო სიბრძნე, არამედ იუმორის გრძნობაც შეიძინეს, რომელიც ასე მწირად გვხვდება ბიბლიასა და წინასწარმეტყველთა ჩანაწერებში. სამაგიეროდ, იუმორმა ღრმად შეაღწია იდიშსა და ჩვენი წინაპრების უცნაურ მეტყველებაში. სწორედ ამ მეტყველებაზე მინდა ვთქვა ცოტა რამ, ვიდრე სამუდამოდ გაქრებოდეს: ებრაელთა სკეპტიკური და ზრდილი ლაპარაკი, ერთი შეხედვით, ღვთის გამობას ჰგავს, თუმცა სინამდვილეში ამაღლებული და მონინებული სიახლოვეა ღმერთთან, რომელსაც სხვადასხვა სახელით მოიხსენიებენ (ნუსხინიურ, აღონაი ელეონუ, კადოს ბაროხუ).

ებრაელთა რთული ხვედრი მათ ენაშიც აირეკლა. მათ არ აქვთ სიტყვები, რომლებიც აღნიშნავს „მზეს“, „კაცს“, „დღეს“, „ქალაქს“, სამაგიეროდ, მრავლადაა ისეთები, როგორებიცაა: „ღამე“, „დამალვა“, „ფული“, „ციხე“, „ქურდობა“, „მკვლელობა“ „სიზმარი“. ეს უკანასკნელი სიტყვა (ებრაულად ბაჰალომ) ყველაზე ხშირად გამოიყენებოდა ფორმით „სიზმარში“, რაც გულისხმობდა, რომ თანამოსაუბრეს ნათქვამი საპირისპირო მნიშვნელობით უნდა გაეგო.

ჩემს წინაპრებს უამრავი შეურაცხყოფელი სიტყვაც ჰქონდათ. ამ სიტყვებს იყენებდა, მაგალითად, ქრისტიანის დახლის წინ მდგარი ებრაელი ცოლ-ქმარი, რომელიც ყოყმანობდა, ეყიდა თუ არა ესა თუ ის ნივთი. ერთ-ერთი ასეთი სიტყვა „საროდ“ მომდინარეობს ებრაული „ცარა“-დან (უბედურება) და გამოიყენებოდა უსარგებლო ნივთის ან ადამიანის აღსანიშნავად. მინდა, აუცილებლად გაგაცნოთ ამავე სიტყვის განსხვავებული ფორმა – „სარუდინ“ და გამოთქმა „სარუდ ე სენცა მანიოდ“, რომლითაც მაჭანკლები უშნო და უმზითვო გოგონას ახასიათებდნენ; ასევე „ჰასირუდ“ – ღორობა, გაუმადლობა, სიტყვიდან „ჰასირ“ – ღორი. ებრაულ ენაში დაბოლოება „უტ“ აბსტრაქტული ტერმინების შესაქმნელად გამოიყენება (მაგ., „მელეხ“ მეფე – „მალხუტ“ სამეფო), მაგრამ მას საერთოდ არ აქვს ჟარგონულ ენაში დამკვიდრებული უარყოფითი კონოტაცია. მსგავსი სიტყვების გამოყენების კიდევ ერთი სახასიათო მაგალითია მაღაზიის პატრონებისა და გამყიდველების ლექსიკონი, რომელსაც კლიენტებთან საუბრისას იყენებენ. გასულ საუკუნეში ქსოვილებით ვაჭრობა ძირითადად ებრაელთა ხელში იყო, რის შედეგადაც სუბჟარგონი გაჩნდა, რომელსაც პატრონებად ქცეული გამყიდველები ავრცელებდნენ. ისე მოხდა, რომ ამ ჟარგონზე ყველა ქსოვილით მოვაჭრე ალაპარაკდა და ხშირად აღარც კი იციან, რომ ებრაულ სიტყვებს იყენებენ. დღესაც კომპლექსიან კაბას ვაჭრები „na vesta a kinim“-ს ეძახიან. „კინიმ“ ებრაულად მკბენარს ნიშნავს, ეგვიპტელთა ათი სასჯელიდან ერთ-ერთს, რომელსაც ებრაულ სააღდგომო ღვთისმსახურებაში მოიხსენიებენ.

ებრაელებს უხამსი სიტყვების ფართო სპექტრიც ჰქონდათ, რომელსაც პირდაპირი მნიშვნელობით იყენებდნენ ბავშვების თანდასწრებით, რათა ისინი ვერ მიმხვდარიყვნენ, რაზე ლაპარაკობდნენ დიდები. ამავე სიტყვებს ხმარობდნენ სალანძღავადაც. მათ, შესაბამის იტალიურ და პიემონტურ გამოთქმებთან შედარებით, ზემოთ არაერთგზის ხსენებული უპირატესობა ჰქონდა: თანამოსაუბრისთვის გაუგებარი რჩებოდა, ხოლო მთქმელი გულს იოხებდა.

ადათ-ნესებში უკეთ გასარკვევად, ალბათ, საინტერესოა იმ სიტყვების გაცნობა, რომლებსაც კათოლიკურ რწმენასთან დაკავშირებული ცნებების აღსანიშნავად იყენებდნენ. ებრაულმა სიტყვებმა ყველაზე დიდი ცვლილება სწორედ აქ განიცადა. ამას ორი მიზეზი ჰქონდა: სიტყვები რაც შეიძლება გაუგებარი უნდა ყოფილიყო, რათა ებრაელთათვის ღვთისგმობაში არ დაედოთ ბრალი. ამასთანავე, სიტყვის შეცვლა თუ ჩანაცვლება იმასაც ემსახურებოდა, რომ მას ყველანაირი მაგიურ-საკრალური მნიშვნელობა და ძალა დაეკარგა. სწორედ ამიტომაც ყველა ენაში ეშმაკის აღსანიშნავად უამრავი ალუზიური ზედსართავი და ევფემიზმი. ამ გზით მის პირდაპირ ხსენებას ირიდებენ თავიდან.

კათოლიკურ ეკლესიას „ტუნევას“ ეძახდნენ. ამ სიტყვის ეტიმოლოგიას ვერ მივაკვლიე და ებრაული, სავარაუდოდ, მხოლოდ ჟღერადობა აქვს. სამაგიეროდ, სინაგოგას თავმდაბლური სიამაყით უბრალოდ „სკოლას“ უწოდებდნენ. რაბინს მოიხსენიებდნენ, როგორც „მორენუს“ (ჩვენი მასწავლებელი), ან „ხახამს“ (მცოდნე). ებრაელთა „სკოლაში“ ვერ შეაღწია საძულველმა კათოლიკურმა „ხალტრუმმა“ – ფანატიზმმა, რომელიც ებრაელთათვის განსაკუთრებით მიუღებელი იყო პოლითეისტური და ხატთაყვანისმცემლური ნიშნების გამო („არ გაიჩინო ჩემ გარდა სხვა ღმერთები. არ გაიკეთო კერპები, არც რამე ხატი იმისა... არ სცე თაყვანი მათ“, გამოსვლა, 20, 3-5). ამ სიტყვის წარმოშობაც უცნობია და, დიდი ალბათობით, არც იგია ებრაული, თუმცა სხვა იტალიურ-ებრაულ ჟარგონებში არსებობს სიტყვა „ხალტო“, რომელიც ფარისეველს ნიშნავს და ძირითადად ხატების თაყვანისმცემელი ქრისტიანის აღსანიშნავად გამოიყენება.

ღვთისმშობელს ა-ისასა უწოდებდნენ, რაც, უბრალოდ, ქალს ნიშნავს. სრულიად გამოუცნობი და აუხსნელია სიტყვა „ოდოს“ წარმოშობა, რომლითაც ქრისტეს მოიხსენიებდნენ დაბალ ხმაზე, თანაც ირგვლივ მიმოიხედავდნენ ხოლმე. ქრისტეზე, ზოგადად, რაც შეიძლება ცოტას ლაპარაკობდნენ, რადგან მითი ღვთის მკვლელ ერზე ძალზე სიცოცხლისუნარიანია.

სხვა სიტყვები, ასე თუ ისე, დაკავშირებული იყო ადათებთან და წმინდა წიგნებთან, რომლებსაც ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში დაბადებული ჩემი წინაპრები საკმაოდ თავისუფლად კითხულობდნენ ებრაულ ენაზე. ყოველდღიურ მეტყველებაში ეს სიტყვები განსხვავებულ მნიშვნელობებს იძენდა. სიტყვიდან „შაფოხ“, რომელიც ნიშნავდა „განფენას“ („მიჰფინე რისხვა შენი თესლთა ზედა, რომელთა არა გიციან შენ“, ფსალმუნი 78), ჩვენმა ბებიებმა შექმნეს გამოთქმა „სეფოხის“ გაკეთება, რითაც ბავშვის პირღებინებას აღნიშნავდნენ. საოცარი და იდუმალებით მოცული ფრაზიდან „სული ღვთისა იძვროდა წყლებს ზემოთ“ (დაბადება, 1,2) დაიბადა გამოთქმა „ტირე რუახ“ – სულის, ქარის ბერვა, რომელშიც ჩანს რჩეული ხალხის ბიბლიური სიახლოვე თავის შემქმნელთან. ცოლ-ქმრის სიახლოვის ხაზგასასმელად ამ გამოთქმის გამოყენების კარგი მაგალითია, როცა დეიდა რეჯინამ თავის მეუღლეს, პოს ქუჩაზე კაფე ფიორიოში მჯდომარეს, ასე მიმართა: „დავიდე, გააქნე შენი ყავარჯენი, ქარი განაგდე, თორემ უბერავს“. რაც შეეხება ყავარჯენს, იმ დროში ის სოციალური სტატუსის სიმბოლო იყო, როგორც ახლა, მაგალითად, მატარებლის პირველი კლასით მგზავრობაა. ბაბუაჩემს ორი ყავარჯენი ჰქონდა: ერთი ბამბუკის, რომელსაც ყოველდღიურად იყენებდა და ერთიც – მალაკას ხისგან დამზადებული, ვერცხლის სახელურით, კვირა დღისთვის. ბაბუას ყავარჯენი დასაყრდნობად სულაც არ სჭირდებოდა. მას მხოლოდ ჰაერში მხიარულად საქნევად და მომაბეზრებელი ძაღლების მოსაგერიებლად იყენებდა. მოკლედ, ეს ყავარჯენი სკიპტრის ფუნქციას ასრულებდა, რომელიც ბაბუას მასისგან გამოარჩევდა.

„ბერახა“ დალოცვაა, რომელსაც მორწმუნე ებრაელი დღეში ასჯერ მაინც წარმოთქვამს. ამას იგი უდიდესი სიხარულით აკე-

თებს, რადგან ღმერთს მადლობას სწირავს ყველა სიკეთისთვის და ამგვარად მასთან მარადიულ დიალოგში შედის. ჩემი დიდი ბაბუა ლეუნინი კაზალე-მონფერატოში ცხოვრობდა. მას ბრტყელტერფიანობა აწუხებდა და სახლის წინ ქვიან ქუჩაზე ძლივს დადიოდა. ერთ დღესაც სახლიდან გამოსულს გზა დაგებული რომ დახვდა, გულწრფელად აღმოხდა: „ღმერთმა დალოცოს გუიმები ამ საქმისთვის“. დასაწყევლად იყენებდნენ გამოთქმას „მედა მეშუნა“, რაც სიტყვასიტყვით უცნაურ სიკვდილს ნიშნავს. ეს პიემონტური გამოთქმის „ჯანდაბაში წასულხარ“ კალკი იყო. ბაბუა ლეუნინს მიაწერენ უცნაურ წყევლასაც: „ჯანდაბაშიც წასულხარ ქოლგიანად“.

არ შემიძლია, არ გავიხსენო დროსა და სივრცეში ჩემთვის ყველაზე ახლობელი ძია ბარბარიკუ. ის ჩემს მეხსიერებაში ცოცხალი ადამიანია და არა „ჩნდ dans un'attitude“³, იმ მისტიკური პერსონაჟების მსგავსად, რომლებზეც ზემოთ ვლაპარაკობდი. სწორედ ის არის ერთ-ერთი იმ ინერტულ აირთაგან, რომელთაც დასაწყისში შევეხე.

მედიცინას სწავლობდა და კარგი ექიმიც დადგა, თუმცა სამყარო არ მოსწონდა. მოსწონდა ადამიანები, განსაკუთრებით ქალები, მინდვრები, მდელივები, მაგრამ არა მუშაობა, აურზაური, კარიერისთვის ბრძოლა, ყოველდღიური სარჩოსთვის წვალება, საქმეები, დღის ნესრიგი და ბოლო ვადები. მოკლედ, არ მოსწონდა ყველაფერი ის, რაც 1890 წელს კაზალე-მონფერატოში ხდებოდა. გაქცევა უნდოდა, მაგრამ ესეც ეზარებოდა. მეგობრებმა და მასზე შეყვარებულმა ქალმა, რომელსაც თავად გულგრილი კეთილგანწყობით იტანდა, დაარწმუნეს, რომ ამერიკაში მიმავალ გემზე ექიმის ადგილისთვის ებრძოლა. ბიძამ დასახულ მიზანს მიაღწია და გენუიდან ნიუ-იორკშიც გაემგზავრა, მაგრამ დაბრუნებისთანავე დატოვა თანამდებობა. ამბობდა, ამერიკის ქაოსმა დამალალო.

ამის შემდეგ ოთახი იქირავა ტურინში. აქ რამდენიმე ქალი გამოიცვალა. ყველას მასზე დაქორწინება უნდოდა, მაგრამ ძიას ქორწინება ზედმეტ ტვირთად მიაჩნდა ისევე, როგორც მუშაობა

³ ერთ პოეზიაში გაქვავებული (ფრ.).

და მუდმივი პროფესიული განვითარება. 1930 წლისთვის ის ერთი მორცხვი, მოდუნებული, დაღლილი და ახლომხედველი მოხუცი იყო. ცხოვრობდა ვილაც ქრისტიან ქალთან ერთად, რომლისგანაც პერიოდულად ცდილობდა განთავისუფლებას. ქალს ასე ახასიათებდა ხოლმე: „გიჟი“, „ვირი“, „ურჩხული“. საკვირველია, მაგრამ ამ სიტყვებში რაღაც აუხსნელი სინაზეც იგრძნობოდა. ქალმა მისი მონათვლაც კი სცადა, მაგრამ უარი მიიღო, არა იმდენად რელიგიური მიზეზით, რამდენადაც სიზარმაცისა და აპათიის გამო.

ბარბარიკუს და-ძმები, რომლებიც თორმეტი მაინც იქნებოდნენ, ამ ქალს ირონიულად მანია მურფინას ეძახდნენ. გარდა იმისა, რომ ქალი ქრისტიანი გახლდათ, შვილებიც არ უჩნდებოდა, შესაბამისად, სრულიად გარიყული იყო ოჯახისგან და ნამდვილი „დიდებულიც“ ვერ იქნებოდა. ამას გარდა, ქალს საეჭვო მიდრეკილება ჰქონდა ნამლებისადმი და, სავარაუდოდ, ძია ბარბარიკუს რეცეპტების გამოსაწერად იყენებდა.

ძია ქალთან ერთად მიგდებულ და მუდმივად დაულაგებელ სხვენში ცხოვრობდა. ბარბარიკუ შესანიშნავი ექიმი იყო, ჭკუითა და ინტუიციით გამორჩეული, მაგრამ მთელ დღეებს წამოწოლილი, წიგნებისა და ძველი გაზეთების კითხვაში ატარებდა. ყურადღებიანი და დაუღლელი მკითხველი იყო. ახლომხედველობის გამო იძულებული ხდებოდა, წიგნები ჭიქის ძირით სქელ სათვალესთან ძალიან ახლოს მიეტანა. ფეხზე მხოლოდ მაშინ დგებოდა, როცა კლიენტი გამოიძახებდა. უნდა ითქვას, რომ ეს არც ისე იშვიათად ხდებოდა, მით უმეტეს, რომ ძია ფულს თითქმის არასდროს იღებდა. მისი კლიენტები ღარიბი ხალხი იყო და საჩუქრად ნახევარ დუჟინ კვერცხს, საკუთარი ბოსტნის მწვანილს ან ძველ ფეხსაცმელს თუ მოუტანდნენ. კლიენტებთან ფეხით მიდიოდა, რადგან ტრამვაის ფული არ ჰქონდა. რაკი ახლომხედველი იყო, ქუჩაში ახალგაზრდა ქალს თუ დაინახავდა, მასთან ძალიან ახლოს მიდიოდა, რომ კარგად დაეთვალიერებინა. არაფერს ჭამდა; არაფრის მოთხოვნილება არ ჰქონდა. ოთხმოცდაათს იყო გადაცილებული, როდესაც ამ ქვეყნიდან თავმდაბლად და ღირსეულად წავიდა.

ბარბარიკუს მსგავსად სამყაროზე გულაცრუებული იყო ბებია ფინაც. მას სამი და ჰყავდა და სამივეს ფინა ერქვა. ეს იმით აიხსნება, რომ გოგონებს ძუძუს ერთი ქალი – დელფინა აწოვებდა. დელფინას ჩვევად ჰქონდა, ყველა შვილობილისთვის თავისი სახელი დაერქვა. ბებია ფინა კარმანიოლაში ცხოვრობდა და საოცრად ქარგავდა. სამოცდაათი წლის ასაკში უეცრად უქეიფობა იგრძნო, როგორც მაშინდელ ქალებს სჩვეოდათ ხოლმე, ახლანდელებს კი რატომღაც აღარ სჩვევიათ. მას შემდეგ ოცი წლის მანძილზე, ანუ სიკვდილამდე, სახლიდან აღარ გამოსულა. შაბათობით სუსტი და ფერმკრთალი ბებია „სკოლიდან“ გამოსულ ხალხს ყვავილებით სავსე აივნიდან ხელის ქნევით ესალმებოდა. როგორც ჰყვებინან, ახალგაზრდობაში სულ სხვანაირი ყოფილა: თურმე ერთხელ მის ქმარს სახლში ცნობილი და პატივცემული რაბინი მონკალვო მოუყვანია. ბებია ფინა მას გაუფრთხილებლად ღორის კატლეთით გამასპინძლებია, რადგან სახლში სხვა არაფერი ჰქონია. მისი ძმა ბარბარაფლინი, რომელსაც „ბიძის“ ტიტულის მიღებამდე „ჩელინელი მოსეს ვაჟიშვილს“ ეძახდნენ, უკვე ხანში შესული და საკმაოდ მდიდარიც იყო. ფული სამხედრო მომარაგებით იშოვა. უიმედოდ იყო შეყვარებული ულამაზეს დოლჩე ვალაბრეგაზე გასინოდან, თუმცა ქალს სიყვარულში ვერ უტყდებოდა. დაწერილ წერილებს არასდროს უგზავნიდა და საკუთარ თავს თვითონვე სწერდა პასუხებს.

ყოფილ „ბიძა“ მარკინსაც ჰქონდა სევდიანი სიყვარულის ისტორია. სუსანა (ებრაულად შრომანს ნიშნავს) შეუყვარდა, ენერგიული და პატიოსანი ქალი, ბატის ძეხვის ტრადიციული რეცეპტის მცოდნე. ეს ძეხვი ფრინველის კისრისგან მზადდებოდა და გასაკვირი არ არის, რომ „წმინდა ენაში“, ანუ პიემონტურ-ებრაულ ჟარგონში, რომელზეც ახლა ვლაპარაკობთ, კისრის სამი სინონიმი შემორჩა: „მაჰანე“ ნეიტრალურია და თავისი ძირითადი მნიშვნელობით გამოიყენება; „სავარ“ მხოლოდ იდიომურ გამოთქმებში იხმარება, მაგალითად: „ა რუტა დ'სავარ“ (კისრის მოტეხა); მესამე სიტყვა – „ხანეკ“ – ყველაზე მრავალმნიშვნელოვანია. აქ კისერი ნაგულის-

ხმევია, როგორც ცხოვრების გზა, რომელიც შეიძლება ჩაიხერგოს ან სულაც განყდეს. ზმნა „ხანიკესე“ თავის ჩამოხრჩობას ნიშნავს.

მოკლედ, ძია მარკინი სუსანას დამხმარე იყო როგორც მისტიკურ სამზარეულო-ლაბორატორიაში, ისე მალაზიაში, რომლის თაროები, ძეხვთან ერთად, წმინდა ნივთებით, ავგაროზებითა და სალოცავი ნიგნებით იყო სავსე. სუსანამ მარკინის სიყვარული უარყო, მან კი შური იძია და ძეხვის რეცეპტი ერთ ქრისტიანს გაუმხილა. როგორც ჩანს, ეს ქრისტიანი ვერ მიხვდა რეცეპტის მნიშვნელობას, რადგან სუსანას სიკვდილის შემდეგ ძველი რეცეპტით დამზადებული ბატის ძეხვი გასაყიდად აღარ გამოჩენილა. სწორედ ამ სამარცხვინო შურისძიების გამო დაკარგა ძია მარკინმა „ბიძის“ ტიტული.

ყველაზე შორეული, ინერტულთა შორის ინერტული, ლეგენდებით მოცული და მეხსიერებაში გაქვავებული ბებიაჩემის ბიძა დედის მხრიდან იყო კიერელი ძია ბარბაბრამინი. კიერიდან ასტიჯანომდე ადგილობრივი არისტოკრატების მამულები შეისყიდა და ძალიან ახალგაზრდა გამდიდრდა. მისი ქონების იმედად ნათესავები ფულს მოგზაურობასა და გართობაში ანიავებდნენ. ერთხელაც დედამისი – დეიდა მილკა („დედოფალი“) – ავად გახდა და დიდი ალიაქოთის შემდეგ, როგორც იქნა, ჰავერტას, ანუ შინამოსამსახურის, აყვანას დათანხმდა: მანამდე იგი, თითქოს გული ცუდს უგრძნობდაო, შინამოსამსახურის სასტიკი წინააღმდეგი იყო. ბარბაბრამინს მოსამსახურე მაშინვე შეუყვარდა, შეიძლება იმიტომაც, რომ ის იმ „წმინდა“ ქალებისგან გასხვავდებოდა, გარს რომ ეხვივნენ.

ქალის სახელი ჩვენთვის უცნობია, თუმცა მოაღწია მისმა დახასიათებამ: ყვავილივით გაფურჩქნილი, ლამაზი, უმშვენიერესი „ხალავიუდით“, ანუ მკერდით (ასეთი სიტყვა კლასიკურ ივრითში არ არსებობს, არის „ხალავ“ ერთადერთი მნიშვნელობით – რძე). რა თქმა უნდა, „გუია“ იყო, თანაც კადნიერი და არც წერა იცოდა, არც კითხვა, მაგრამ შესანიშნავ კერძებს ამზადებდა. გლეხის ქალი იყო და სახლში ფეხშიშველი დადიოდა. სწორედ ამ ყველაფრის გამო შეუყვარდა ის ძიას. შეუყვარდა მისი კოჭები, მისი ლაპარაკის თავისუფალი მანერა, მისი მომზადებული უგემრიელესი კერძები. სიყ-